საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/11

28 მარტი, 2013 წ. **ქ. ბათუმი**

,, 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2013 წლის 12 თებერვლის № 01-08/7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2013 წლის 12 თებერვლის № 01-08/7 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დამატება. კერძოდ კი,

ა) ბრძანებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^1 პუნქტი:

,, 1^1. 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა** (სწავლის სემესტრული საფასურის **მეორე ნახევარის** გადახდისათვის) განისაზღვროს 2013 წლის 7 მაისიდან 13 მაისის ჩათვლით, ხოლო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტი გამოიცეს 17 მაისს.

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის პირველი ნახევრის გადაუხდელობის) გამო **ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტი გამოიცეს 2013 წლის 12 აპრილს.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ფაკულტეტებისა და კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**